

პროგრამა ხორციელდება საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციის მიერ და შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის დიდსულოვანი მხარდაჭერის შედეგად და ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ძალისხმევის საფუძველზე.

კლიმატის ცვლილებისადმი ადაპტაცია და ზემოქმედების შერბილება ადგილობრივ დონეზე

ხონის მუნიციპალიტეტში არსებული მდგომარეობა

1. მუნიციპალიტეტის ზოგადი დახასიათება

ხონის მუნიციპალიტეტი მდებარეობს კოლხეთის დაბლობის ჩრდილო-აღმოსავლეთით, ეგრისის ქედის სამხრეთ კალთებზე. ხონის მუნიციპალიტეტს დასავლეთიდან ესაზღვრება მარტვილისა და აბაშის მუნიციპალიტეტები, სამხრეთით - სამტრედიის მუნიციპალიტეტი, აღმოსავლეთით - წყალტუბოს მუნიციპალიტეტი, ხოლო ჩრდილოეთით - ცაგერის მუნიციპალიტეტი. ხონის მუნიციპალიტეტის ტერიტორია 42 850ჰა-ია, რომლის დიდი ნაწილი მთაგორიანია. მთის ზონაში გავრცელებულია ფოთლოვანი ტყეები, რომელთა საერთო ფართობი 20 300 ჰა-ია, ანუ ტყეებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიის 47% უკავია. სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს 18 042 ჰა, ანუ მთლიანი ფართობის 42 % უჭირავს.

ხონის მუნიციპალიტეტი ზღვის ნოტიო, სუბტროპიკულ კლიმატურ ზონაშია მოქცეული, სადაც ზამთარი ზომიერად ცივია, ხოლო ზაფხული საკმაოდ ცხელი. დაბლობში წლიური საშუალო ტემპერატურაა +14.3°C, მთის ზონაში კი +12°C. წლის ყველაზე ცივი თვის, იანვარის, საშუალო ტემპერატურა დაბლობში შეადგენს +5°C-ს, მთაში კი -3°C ფიქსირდება, ყველაზე ცხელი თვის, აგვისტოს, საშუალო ტემპერატურა დაბლობში შეადგენს +23°C-ს, მთაში კი +21°C-ია. წელიწადში საშუალოდ 1 460-1 790 მმ ნალექი მოდის.

2012 წლის მდგომარეობით, ხონის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა 31 500 კაცს შეადგენს, აქედან ქალაქ ხონში ცხოვრობს დაახლოებით 11 000 კაცი, რაც მუნიციპალიტეტის მთელი მოსახლეობის 36 %-ია, ხოლო სოფლად ცხოვრობს 21 000 ადამიანი. მოსახლეობის სიმჭიდროვე შეადგენს 73 კაცი/კმ²-ზე, რაც ქვეყნის საშუალო მაჩვენებელს (67 კაცი/კმ²) ოდნავ აღემატება. მუნიციპალიტეტში სულ 40 დასახლებაა, აქედან 1 ქალაქია.

ხონის ტერიტორიული ერთეულის მოსახლეობის შემოსავლის 4 ძირითადი წყაროა: სოფლის მეურნეობა, უცხოეთიდან გზავნილები, სოციალური პაკეტი (პენსია, სოციალური დახმარება) და მცირე მეწარმეობა (ავეჯი, პოლიმერკონტეინერი). ამასთან, შემოსავლების ძირითადი წყაროებიდან სოფლის მეურნეობა პირველ ადგილზე დგას.

ხონის მუნიციპალიტეტის 2012 წლის ბიუჯეტმა ადგილობრივი შემოსავლებისა და გამოთანაბრებითი ტრანსფერების ჩათვლით 6 984 500 ლარი შეადგინა. ადმინისტრაციული ერთეულის ძირითად შემოსავლებს ამჟამად უზრუნველყოფს ტრანსფერები. წარსულში კი ძირითადი შემოსავლების წყაროდ ითვლებოდა აგროსექტორი, ძაფსაღები და პოლიმერკონტეინერი. მუნიციპალიტეტს ეკონომიკური განვითარების გეგმა არ გააჩნია. თუმცა, იმერეთის რეგიონის განვითარების სტრატეგიის გათვალისწინებით, ეკონომიკის პრიორიტეტულ დარგებად ითვლება: სოფლის მეურნეობა, ტურიზმი, ხე-ტყის გადამამუშავება და ავეჯის წარმოება.

2. ბუნებრივი საფრთხეები

მუნიციპალიტეტის გამგეობის მონაცემებით, ბუნებრივი საფრთხეებიდან ხონის ადმინისტრაციული ერთეულისათვის სახასიათოა: ძლიერი ქარი, ძლიერი წვიმა, წყალდიდობა, მეწყერი, მდინარის ნაპირების ეროზია და გვალვა; უკანასკნელ 10 წელიწადში ბუნებრივი კატასტროფები არ გაძლიერებულა და არ გახშირებულა.

სამუშაო ჯგუფი თვლის, რომ ჩამოთვლილი ბუნებრივი საფრთხეებიდან ძირითად საფრთხეს წარმოადგენს მეწყერი და ძლიერი ქარი. კერძოდ, ბოლო წლებში მეწყერმა მუნიციპალიტეტის სხვადასხვა უბნებში დააზიანა დაახლოებით 2 ჰა სახნავ-სათესი მიწა, 1 საცხოვრებელი სახლი, შიდა გზები და სკოლა; ქარიშხალმა სკოლის შენობები და საცხოვრებელი სახლები დააზიანა.

ამას გარდა, მდინარეთა ნაპირების წარეცხვის შედეგად დაზიანდა 13 ჰა სასოფლო-სამეურნეო სავარგული და რამდენიმე ხიდი.

მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, ძლიერი ქარის შედეგად საჭირო გახდა ერთ ოჯახის გადასახლება; თუმცა, ბუნებრივ კატასტროფებს ადამიანთა მსხვერპლი არ მოჰყოლია.

ბუნებრივი საფრთხის ზონაში მოხვედრილი საცხოვრებელი შენობების, მოსახლეობისა და საზოგადოებრივი ინფრასტრუქტურის ობიექტების შესახებ ინფორმაცია შეჯამებულია ცხრილებში #1 და #2. უნდა აღინიშნოს, რომ მუნიციპალიტეტის გამგეობას სრული ინფორმაცია არ გააჩნია ბუნებრივი მოვლენების შედეგად დაზიანებული ინფრასტრუქტურის შესახებ.

მოწოდებული ინფორმაციით, ბუნებრივი კატასტროფების მიერ მუნიციპალიტეტისათვის ბოლო ათწლეულში მიყენებული ფინანსური ზიანი შეადგენს 14 554 000 ლარს, საიდანაც აქედან ყველაზე მეტი წილი მოდის ნაპირების წარეცხვით მიყენებულ ზიანზე (8 000 000 ლარი, ანუ 55%) და გვალვის შედეგად მიყენებულ ზიანზე (5 742 000 ლარი, ანუ 39%). თუმცა, ეს სტიქიები დასახლებული არაა ძირითად საფრთხეებში. მნიშვნელოვან საფრთხედ არც სასოფლო-სამეურნეო მიწების ეროზია მოიხსენიება, რასაც, როგორც ჩანს, მასშტაბური ხასიათი აქვს მუნიციპალიტეტში (იხ. თავი 3).

ცხრილი 1 მონაცემები ხონის მუნიციპალიტეტში ბუნებრივი საფრთხეების ზონაში მოხვედრილი მოსახლეობის შესახებ

ბუნებრივი საფრთხე	ადგილმდებარეობა	საცხოვრებელი შენობების რაოდენობა	მოსახლეობის რაოდენობა, სული	ეკომიგრანტების რაოდენობა, სული
ძლიერი ქარი	პატარა ჯიხაიში, კუხი, ივანდიდი, ხონი, ქუტირი, გვაზაური	დაზიანებული სახლების შესახებ ინფორმაცია ვერ მოგვაწოდეს		
	დედალაური	1	4	4
მეწყერი	კინჩხა	1	5	

ცხრილი 2 მონაცემები ხონის მუნიციპალიტეტში ბუნებრივი საფრთხეების მიერ დაზიანებული საზოგადოებრივი ინფრასტრუქტურის შესახებ

ბუნებრივი საფრთხე	ადგილმდებარეობა	საზოგადოებრივი ინფრასტრუქტურა
ძლიერი ქარი	ახალშენი	სკოლა
	სუხჩა	სკოლა
	გოჩა ჯიხაიში	სკოლა
	ქუტირი	სკოლა
	ივანდიდი	სკოლა
	მეძილეთი	სკოლა
	ხონი	3 სკოლა, საბავშვო ბაღები, სათნოების სახლი, ახალგაზრდა ტექნიკოსთა სკოლა
მეწყერი	ნამაშები	სკოლა
	ღვედი	გზის 30 მ-იანი მონაკვეთი
	გორდი	გზის 20 მ-იანი მონაკვეთი
	კინჩხა	გზის 20 მ-იანი მონაკვეთი
	მეძილეთი	გზის 20 მ-იანი მონაკვეთი
წყალდიდობა / წყალმოვარდნა	მდ. ცხენისწყალი	ნაპირსამაგრი
	სოფ. მათხოჯი	1 ხიდი მდ. ცხენისწყალზე
	ხონი –ლეხაინდრაო	დამაკავშირებელი ხიდი მდ. ცხენისწყალზე

მუნიციპალიტეტს აქვს კატასტროფების წინასწარი შეტყობინებისა და საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების გეგმა, რაც მოიცავს ხანძარს, წყალდიდობას, მეწყერს, ღვარცოფს და მიწისძვრას. თუმცა, მუნიციპალიტეტს საკუთარი ძალებით შეუძლია მოახდინოს მხოლოდ მცირე მასშტაბის კატასტროფებზე რეაგირება.

ბუნებრივი საფრთხეების პრევენციისთვის განხორციელებული იქნა: ნაპირსამაგრი სამშაოები, სამელიორაციო არხების გაწმენდა, მდინარე სუხჩელას დაღრმავება და საირიგაციო სისტემების რეაბილიტაცია.

ბუნებრივი კატასტროფების შედეგების აღმოფხვრის მიზნით განხორციელებული ღონისძიებები კი მოიცავს: ქარისაგან დაზიანებული სკოლების სახურავების, ხიდ-ბოგირებისა და ადგილობრივი გზების აღდგენა-შეკეთებას, სათავე ნაგებობების რეაბილიტაციას.

თუმცა, მოწოდებული ინფორმაცია არ ასახავს თუ რამდენად შეესაბამება განხორციელებული პრევენციული თუ შედეგების აღმოსაფხვრელი ღონისძიებები რეალურ საჭიროებას.

3. სოფლის მეურნეობა და სურსათის უსაფრთხოება

მიწის რესურსი

ხონის ტერიტორიული ერთეულის სასოფლო სამეურნეო სავარგულები 18 042 ჰა-ს შეადგენს, რაც მისი მთლიანი ფართობის 42%-ია. მუნიციპალიტეტში სოფლის ერთ მაცხოვრებელზე დაახლოებით 0.88 ჰა მიწის ნაკვეთი მოდის. სახნავ-სათესი მიწების საერთო ფართობი შეადგენს 7 543 ჰა-ს, რაც სასოფლო სამეურნეო სავარგულების 42 %-ია, ხეხილის ბაღები – 2 928 ჰა-ს შეადგენს (16 %), ხოლო სათიბ-სამოვარი – 7 769 ჰა-ს (43 %). ეს მონაცემები აღებულია 2003 წლის მიწის ბალანსიდან.

მუნიციპალიტეტში უკანასკნელ ათწლეულში სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ფართობი ბუნებრივი საფრთხის შედეგად შემცირებულია 15 ჰა-ით, აქედან 2 ჰა დაზიანებულია დამეწყვრით, ხოლო 13 ჰა - მდინარეების ნაპირების წარეცხვით. დაკარგული სასოფლო-სამეურნეო სავარგულებიდან 10 ჰა სახნავ-სათესია, დანარჩენი 5 ჰა კი - სათიბ-სამოვარი.

ამას გარდა, ეროზიული პროცესების შედეგად დეგრადირებულია 600 ჰა სახნავ-სათესი ფართობები და 300 ჰა სათიბ-სამოვარი.

მემცენარეობა

ხონის მუნიციპალიტეტში სახნავ-სათესები სასოფლო-სამეურნეო მიწების 42%-ს შეადგენს. ადმინისტრაციულ ერთეულში გავრცელებული კულტურებიდან პრიორიტეტულია: სიმინდი, ბოსტნეული, თხილი.

სამუშაო ჯგუფის ინფორმაციით, სიმინდის მოსავლიანობაა 3 ტ/ჰა და ეს მაჩვენებელი უკანასკნელ წლებში გაზრდილია 0.6–0.7 ტ/ჰა–ით, ბოსტნეულის მოსავლიანობაა 8 ტ/ჰა და ბოსტნეული კულტურების მოსავლიანობა უკანასკნელ წლებში უმნიშვნელოდაა გაზრდილი. თხილის მოსავლიანობა კი უცვლელია და შეადგენს 1 ტ/ჰა-ს. პრიორიტეტული კულტურების მოსავლიანობის გაზრდის მიზეზებად სახელდება შრომითი და მატერიალური დანახარჯების გაზრდა.

მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, ადმინისტრაციული ერთეულის სახნავი მიწების 78% საჭიროებს მორწყვას, თუმცა საირიგაციო სისტემების სიმცირე და მათი ცუდი მდგომარეობა პრობლემატურს ხდის რწყვის პროცესს. დღეისათვის მუნიციპალიტეტში გამოიყენება რწყვის არხოვანი მეთოდი.

მეორეს მხრივ, მუნიციპალიტეტის სასოფლო-სამეურნეო მიწების დარჩენილი 22% საჭიროებს დრენაჟს. როგორც ჯგუფის წევრები აღნიშნავენ, სადრენაჟე სისტემები არსებობს, მაგრამ მათ სასოფლო-სამეურნეო მიწების სათანადო დრენაჟის უზრუნველყოფა არ შეუძლია ტექნიკური გაუმართაობის და დასილვის გამო.

როგორც აღწერილი სიტუაცია გვიჩვენებს, ხონის მუნიციპალიტეტში მემცენარეობის წინაშე მდგარი გამოწვევებია სახნავ-სათესი მიწების დეგრადაცია ეროზიის შედეგად, სარწყავი სისტემების სიმცირე და გაუმართაობა, ასევე სადრენაჟე სისტემების გაუმართაობა.

მეცხოველეობა

ხონის მუნიციპალიტეტში სათიბ-სადოვრებს 7 769 ჰა უკავია, რაც სასოფლო-სამეურნეო მიწების 43%-ს შეადგენს. მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, 2012 წლის მდგომარეობით, მსხვილფეხა საქონლის რაოდენობა დაახლოებით 23 000 სულს აღწევს და ეს მაჩვენებელი წინა წლებთან შედარებით 2–3 ათასი სულითაა გაზრდილი. ამას გარდა, მსხვილფეხა პირუტყვი სადოვრებზე მარტვილიდანაც შემოჰყავთ; თუმცა, შემოყვანილი პირუტყვის ოდენობა უცნობია.

მუნიციპალიტეტისთვის მეცხვარეობა არატრადიციული დარგია. ცხვარი ძირითადად ეკომიგრანტების მიერ ბოლო წლებში იქნა შემოყვანილი. ცხვრის და თხის სულადობა 2012 წლის მდგომარეობით მხოლოდ 1 300 სულს შეადგენს.

მუნიციპალიტეტში მიიჩნევენ, რომ მესაქონლეებს აქვთ სათიბ-სადოვრის დეფიციტი. ადგილობრივი მოსახლეობის მსხვილფეხა პირუტყვზე გადაანგარიშებით (რამდენადაც საზაფხულო სადოვრებზე მეზობელი მუნიციპალიტეტებიდან შემოყვანილი პირუტყვის რაოდენობა უცნობია), ერთ სულ მსხვილფეხა ცხოველზე მხოლოდ 0.33 ჰა სათიბ-სადოვარი მოდის. როგორც ჩანს, სადოვრების სიმწირის და არასწორი ძოვების გამო ხდება

მათი გადაძოვა და ეროზია. როგორც ზემოთ აღინიშნა, დღეის მდგომარეობით სათიბ-სადოვრების 300 ჰა (ანუ 4%) დეგრადირებულია ეროზიის გამო.

მიუხედავად სათიბ-სადოვრების სიმცირისა და დეგრადაციისა, მათი მოვლა-შენარჩუნებისთვის მუნიციპალიტეტში არავითარ ღონისძიებებს არ მიმართავენ. კერძოდ კი, მეცხოველეები არ მიმართავენ ნაკვეთმონაცვლეობით მოვებას, სადოვრებისათვის შეფასებული არ აქვთ მოვების ნორმები და სხვა.

ჯგუფის წევრების მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, სათიბ-სადოვრების დეფიციტის მიუხედავად, მსხვილფეხა პირუტყვის წველადობა 0.5ტ-ით, ხოლო ხორცპროდუქტიულობა 0.2კგ-ით გაიზარდა. პირუტყვის ხორცპროდუქტიულობის გაზრდის მიზეზად ჯგუფის წევრები ასახელებენ საკვების ხელმისაწვდომობას და ფერმერებს შორის ცოდნის ამაღლებას პირუტყვის კვებასთან დაკავშირებით. საქონლის დანაკარგი უკანასკნელ დეკადაში არ გაზრდილა და პირუტყვის დავარდნა მესაქონლეობის გამოწვევას არ წარმოადგენს მუნიციპალიტეტში.

პროექტები და სერვისები

წლების განმავლობაში ხონის მუნიციპალიტეტში არ არსებობდა სამსახური, რომელიც მოახდენდა სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული საკითხების მონიტორინგსა და აღრიცხვას.

2012 წლის მაისში ადმინისტრაციული ერთეულის ადგილობრივ გამგეობასთან შეიქმნა სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახური, რომელიც ვალდებულია ხელი შეუწყოს სახელმწიფოსა თუ არასამთავრობოების მიერ სოფლის მეურნეობაში განხორციელებულ პროგრამებს, უზრუნველყოს ფერმერები საჭირო ინფორმაციით და ტექნიკით, განახორციელოს სასოფლო-სამეურნეო საკითხების მონიტორინგი და შეაგროვოს შესაბამისი ინფორმაცია. ახლადშექმნილი სამსახური სრულყოფის პროცესშია და მას არ გააჩნია ინფორმაცია მუნიციპალიტეტში განხორციელებული სოფლის მეურნეობის ხელშემწყობი პროგრამების შესახებ.

4. ტყის რესურსები

მუნიციპალიტეტის მთიან ზონაში მრავლადაა ფოთლოვანი ტყეები. ტყის საერთო ფართობია 20 300 ჰა, რაც ხონის მთლიანი ტერიტორიის 47%-ია.

ტყის რესურსების მართვა-განკარგვა მთლიანად იმერეთის რეგიონალური სატყეო სამმართველოს უფლებამოსილებაა და მუნიციპალიტეტის გამგეობას ამ სფეროში არავითარი ფუნქცია არ აქვს. ამის გამო, მუნიციპალიტეტის გამგეობა სხვადასხვა კატეგორიის ტყეების ფართობების, ჭრების სახეობებისა და მოცულობების შესახებ ინფორმაციას არ ფლობს.

სამუშაო ჯგუფის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილი აქვს ტყის კომერციულ და სოციალურ ჭრას. ისინი თვლიან, რომ ჭრის ტენდენცია ბოლო ათწლეულში არ შეცვლილა და რომ ტყის ჭრის დასტაბილურების მიზეზი შეიძლება იყოს გაზიფიკაცია. გამგეობის წევრებს უკანონო ჭრების შესახებ ინფორმაცია არ გააჩნიათ.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ისტორიულად არსებობდა ქარსაფარი ზოლები. შეხვედრის მონაწილენი თვლიან, რომ ბოლო ათწლეულში მათი რაოდენობა მნიშვნელოვნად შემცირებულია, მაგრამ ამისი დამასაბუთებელი მონაცემები არ აქვთ.

მოწოდებული ინფორმაციით, მუნიციპალიტეტის ტყეებში ბოლო ათწლეულში იყო ხანძრის შემთხვევები; თუმცა, სამუშაო ჯგუფის წევრებს მონაცემები ხანძრების სტატისტიკის და დაზიანებული ფართობების შესახებ არ გააჩნიათ.

შეხვედრის მონაწილეები ასევე არ ფლობენ ინფორმაციას, ვითარდება თუ არა ბუნებრივი კატასტროფები (ეროზია, მეწყერი, ღვარცოფი, სხვა) ტყის საფარდაკარგულ უბნებში. მათ არ გააჩნიათ ინფორმაცია მიმდინარეობს თუ არა ნახანძრალ და განაკაფ უბნებზე ტყის საფარის აღდგენის მონიტორინგი.

მუნიციპალიტეტში ბოლო ათწლეულში ტყეების აღდგენა-განაშინიანებას ადგილი არ ჰქონია. ტერიტორიული ერთეულის ფარგლებში არც სანერგე მეურნეობა არსებობს.

5. წყლის რესურსები და წყალმობხმარება

ხონის მუნიციპალიტეტი მდიდარია წყლის რესურსებით. წყლის რესურსები წარმოდგენილია მდინარეებითა და მიწისქვეშა წყლებით. მუნიციპალიტეტის გამგეობას არ გააჩნია მონაცემები ზედაპირული და მიწისქვეშა წყლების შეფასებული რესურსის შესახებ.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ზედაპირული წყლები წარმოდგენილია მდინარეების ცხენისწყლის და გუბისწყლის აუზებით. მდ. ცხენისწყლის სიგრძე 176 კმ-ია, აუზის ფართობი 2120 კმ², ხოლო მდ. გუბისწყლის სიგრძე 36 კმ-ია და აუზის ფართობი 442 კმ².

მუნიციპალიტეტში არ არის ჰიდროლოგიური სადგური და შესაბამისად, არ ხორციელდება მონიტორინგი ზედაპირულ წყლებზე. არც მდინარეთა ჰიდროლოგიური რეჟიმის ცვლილების და წყლის ხარისხის შესახებ არსებობს მონაცემები.

მუნიციპალიტეტში არც ჰიდროგეოლოგიური მონიტორინგი მიმდინარეობს. მიუხედავად მონიტორინგის არარსებობისა, სამუშაო ჯგუფის წევრები თვლიან, რომ მიწისქვეშა წყლების დონემ ბოლო 10 წელიწადში დაიწია, რაც ჭების დონის დაწევით ადასტურებენ. მუნიციპალიტეტს არა აქვს ოფიციალური ინფორმაცია მიწისქვეშა წყლების დაბინძურების შესახებ. თუმცა, სამუშაო ჯგუფის წევრებმა აღნიშნეს, რომ საკანალიზაციო კოლექტორები ადგილ-ადგილ დაზიანებულია, ვერ იტევს ფეკალურ მასას და აბინძურებს გრუნტს (სოფ. გვაზაურსა და ქუტირთან) და იწვევს მიწისქვეშა წყლების ბაქტერიოლოგიურ დაბინძურებას.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არ აღირიცხება ჭარბტენიანი ტერიტორიები.

მუნიციპალიტეტი არ ფლობს ინფორმაციას წყალმოხმარების შესახებ. სავარაუდო მონაცემებით, საზოგადოებრივი წყალმომარაგება შეადგენს 1 400 000 მ³/წლ-ს. მოსახლეობის წყალმომარაგებისთვის გამოიყენება ზედაპირული და მიწისქვეშა წყლები; ხოლო ირიგაცია ზედაპირული წყლებიდან ხდება.

ხონის მუნიციპალიტეტიდან წყლის რესურსის ნაწილი გადაისროლება სამტრედიის მუნიციპალიტეტში ირიგაციისა და მოსახლეობის წყალმომარაგებისათვის, მათ შორის, მოსახლეობის წყალმომარაგებისათვის დაახლოებით 3 100 000 მ³/წლ, ხოლო ირიგაციისათვის მიწოდებული წყლის მოცულობის შესახებ ინფორმაცია ხონის მუნიციპალიტეტის გამგეობას არ გააჩნია.

მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, მუნიციპალიტეტის დასახლებები არ არის სრულად უზრუნველყოფილი ცენტრალიზებული წყალმომარაგებით. წყალმომარაგების სისტემა გააჩნია ქ. ხონს, რომელსაც წყალი ზედაპირული წყლებიდან მიეწოდება. მოსახლეობასთან დამონტაჟებული არაა წყლის მრიცხველები. წყალმომარაგების სისტემის მდგომარეობა საშუალოა. ამასთან მის წყალმიმღებ ნაგებობას წყალდიდობის დროს პრობლემები ექმნება. მაგალითად, 2005 წელს წყალდიდობის შედეგად დაიტბორა წყალმიმღები ნაგებობა და დაზიანდა მიმღები გალერეა. სოფლებში წყალმომარაგებისთვის მოსახლეობას მოწყობილი აქვს ინდივიდუალური ჭები.

მუნიციპალიტეტის საკანალიზაციო კოლექტორებით უზრუნველყოფილია დიდი დასახლებების მხოლოდ 15%; თუმცა, როგორც აღინიშნა, კოლექტორები ადგილ-ადგილ დაზიანებულია და ვერ ატარებს ფეკალურ მასას.

მუნიციპალიტეტში წყლის რესურსების მართვა-განკარგვაზე პასუხისმგებელია გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია „ხონის სერვის ცენტრი“.

6. მდინარეთა ნაპირების დინამიკა

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდინარეთა ნაპირების დინამიკაზე გავლენას ახდენს ინერტული მასალის მოპოვება მდინარეთა კალაპოტებიდან. თუმცა, სამუშაო ჯგუფს არ გააჩნია მონაცემები მოპოვების მოცულობის შესახებ.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კალაპოტური რეჟიმების დარღვევის შედეგად შეინიშნება მდინარეების ნაპირების ეროზია (ცხენისწყლის მთელ სიგრძეზე), საინჟინრო ნაგებობათა დაზიანება (სოფ. მათხოჯი, ხონი-ლესაინდრაოს ხიდი) და კალაპოტის დახრამვა.

მდინარეთა ნაპირების ეროზიის პრევენციისთვის კეთდება ნაპირსამაგრები; ხოლო ინერტული მასალის დაგროვების შედეგად წყალდიდობის პრევენციისთვის მიმდინარეობს დაგროვებული ინერტული მასალის ამოღება.

მდინარეებიდან ინერტული მასალის მოპოვების, თუ მდინარის ნაპირების დინამიკის და საინჟინრო ნაგებობების მდგომარეობის მონიტორინგს ადგილობრივი მმართველობის ორგანოები არ ახორციელებს.

7. ინდუსტრია/წარმოება

მუნიციპალიტეტში წარმოება ცუდადაა განვითარებული. ჯგუფის წევრების მონაცემებით, მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს პოლიმერკონტეინერი, ავეჯის მინი-საწარმოები, კვების მრეწველობის ობიექტები.

მუნიციპალიტეტი არ ფლობს ინფორმაციას საწარმოებში გამოყენებული გარემოსდაცვითი ზომების შესახებ. გარემოსდაცვითი ზომებიდან საწარმოებში ძირითადად წყალმომარების აღრიცხვა ხდება და ადგილ-ადგილ დამონტაჟებულია მეტალო-პლასტმასის ფანჯრები, რაც ზრდის შენობა-ნაგებობების ენერგო-ეფექტურობას.

8. ნარჩენების მართვა

ხონის მუნიციპალიტეტში ნარჩენების მართვას ახორციელებს სპეციალური სამსახური, რომლის მოვალეობაა ნარჩენების შეგროვება, მოცულობის აღრიცხვა და განთავსება პოლიგონზე. მუნიციპალიტეტში წელიწადში გროვდება 5 000 მ³ ნარჩენი. ეს მაჩვენებელი უკანასკნელ 10 წელიწადში გაზრდილია 3-ჯერ.

თუ გავითვალისწინებთ, რომ მუნიციპალიტეტის მოსახლეობა ბოლო წლებში პრაქტიკულად არ შეცვლილა, აღნიშნული მაჩვენებელი ნარჩენების მართვის გაუმჯობესებაზე უნდა მეტყველებდეს. ამავებზე მეტყველებს ის, რომ ნარჩენების მართვის გაუმჯობესების მიზნით ბოლო წლებში შეიძინეს 2 სპეცმანქანა და 1 მ³ ტევადობის 60 ბუნკერი.

შეგროვებული ნარჩენების განთავსება ხდება ქ. ხონის პოლიგონზე, რომელიც მდგომარეობაც ვერ პასუხობს სანიტარულ მოთხოვნებს.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მრავლადაა არალეგალური ნაგავსაყრელები; თუმცა, რა რაოდენობის ნარჩენები იყრება ყოველწლიურად ამ ნაგავსაყრელებზე შეფასებული არაა.

მუნიციპალიტეტში არსებობს გადამუშავებადი ნარჩენების (კერძოდ, ჯართის) შემგროვებელი პუნქტები, მაგრამ ინფორმაცია მათ მიერ შეგროვილი ნარჩენების რაოდენობის შესახებ არ გააჩნიათ.

9. გენდერი

შეკითხვაზე, სოფლის მეურნეობაში პროდუქტიულობის შემცირება ქალზე უფრო მტკივნეულად აისახება თუ მამაკაცზე, შეხვედრის მონაწილეების პასუხი იყო, რომ ეს ქალზე უფრო აისახება, რადგან ძირითადი ფიგურა ოჯახში არის ქალი. წყლის დეფიციტი და ტყის რესურსების შემცირება კაცს შეუქმნის მეტ პრობლემებს, რადგან ოჯახის მომმარაგებლად მას თვლიან. კლიმატური პირობების ცვლილებების მიმართ კი ქალი უფრო მეტად მგრძობიარედ დასახელდა. პასუხების დასაბუთება ეყრდნობა გამოკითხულთა ოჯახურ გამოცდილებას.

უნდა აღინიშნოს, რომ სამუშაო ჯგუფის წევრებს გაუჭირდათ კლიმატის ცვლილებებისა და გენდერული თანასწორობის პრობლემის ურთიერთდაკავშირება.

10. ადგილობრივი მმართველობა

მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამშრომლები კლიმატის ცვლილების მიერ გამოწვეულ პრობლემად თვლიან გვალვების შედეგად მოსავლის შემცირებას. გვალვის შედეგების შესარბილებლად მუნიციპალიტეტში ხორციელდება წყალმომარაგებისა და საირიგაციო სისტემების რეაბილიტაციის პროექტები.

ბუნებრივი საფრთხეების შედეგების შესარბილებლად ცენტრალური მთავრობის მიერ განხორციელდა ნაპირდამცავი ნაგებობების მშენებლობა.

მუნიციპალიტეტში მიიჩნევენ, რომ კლიმატის ცვლილებით გამოწვეული შედეგების შესარბილებლად აუცილებელია ქარსაფარი ზოლების აღდგენა, ჭრების სისტემატიზაცია და ნაპირსამაგრების მოწყობა.

სამუშაო ჯგუფის წევრები არასოდეს დასწრებიან ტრენინგებს კლიმატის ცვლილებებზე.

11. დასკვნები და რეკომენდაციები

ხონის მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამშრომელთა გამოკითხვის შედეგების შეფასების საფუძველზე მუნიციპალიტეტის მოწყვლადობა კლიმატის ცვლილებებისადმი შეიძლება დავუკავშიროთ შემდეგ საკითხებს:

ბუნებრივი საფრთხეები - ხონის მთა-გორიანი რელიეფი და გეოლოგიური პირობები განაპირობებს დამეწყვრის, ეროზიისა და მდინარის ნაპირების წარცხვის მაღალ რისკებს. თუმცა, როგორც ჩანს, ამ ბუნებრივი საფრთხეების რისკები მნიშვნელოვნად გაზრდილია ანთროპოგენული ზემოქმედების გამო, რომელთა შორის ყველაზე მნიშვნელოვანია ჭარბი მოვება, მდინარეთა კალაპოტის არასწორი მართვა და ტყის ჭრა.

მუნიციპალიტეტისთვის ასევე სახასიათოა ძლიერი ქარები და გვალვიანობა, რომელთა სიხშირე და ინტენსივობა ასევე შეიძლება გაიზარდოს ტყის ჭრის გამო.

მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, მეწყერი, ქარიშხლები და მდინარეთა ნაპირების ეროზია საფრთხეს უქმნის მოსახლეობას, მათ სასოფლო-სამეურნეო ნაკვეთებს და საზოგადოებრივ ინფრასტრუქტურას; ამას გარდა, მოსახლეობას მნიშვნელოვანი ზარალი მიადგა გვალვების გამოც. ბოლო ათწელიწადში სხვადასხვა სტიქიებით მიყენებული ზარალი 14 554 000 ლარად იქნა შეფასებული; თუმცა, უცნობია სრულად ასახავს თუ არა ზარალის სრულ მასშტაბს.

ხონის მუნიციპალიტეტისთვის ჯერ-ჯერობით არაა შეფასებული მოსალოდნელი ცვლილებები კლიმატში, თუმცა საერთო ტენდენციიდან გამომდინარე შეიძლება ვიფიქროთ, რომ მომავალში კლიმატური ცვლილებები კიდევ უფრო გაამწვავებს ჩამოთვლილ საკითხებს და გაზრდის მუნიციპალიტეტის მოწყვლადობას ბუნებრივი საფრთხეების მიმართ.

სოფლის მეურნეობა - დღეისთვის სოფლის მეურნეობა ხონის მუნიციპალიტეტში წამყვანი ეკონომიკური საქმიანობაა. მუნიციპალიტეტში არსებული პირობები თანაბრად ხელსაყრელია მეცხოველეობისა და მემცენარეობისთვის.

მემცენარეობის წინაშე არსებული გამოწვევებია სახნავ-სათესი მიწების დეგრადაცია ეროზიის შედეგად, სარწყავი სისტემების სიმცირე და გაუმართაობა, ასევე სადრენაჟე

სისტემების გაუმართაობა. მუნიციპალიტეტისთვის სახასიათო გვალვები განსაკუთრებით ამძაფრებს სარწყავი სისტემებთან დაკავშირებულ პრობლემას.

მეცხოველეობის წინაშე მდგარი გამოწვევებია სათიბ-სადოვრების დეფიციტი. მოწოდებული ინფორმაცია გვიჩვენებს, რომ მუნიციპალიტეტში მსხვილფეხა პირუტყვის რაოდენობა ჭარბია მათ ხელთ არსებული სათიბ-სადოვრების რესურსთან შედარებით. ამისი ინდიკატორია სათიბ-სადოვრების მასშტაბური ეროზია გადაძოვების შედეგად. პრობლემას ისიც უნდა ამწვავებდეს, რომ პირუტყვი საზაფხულო სადოვრებზე მეზობელი მარტვილიდანაც შემოჰყავთ. მიუხედავად სათიბ-სადოვრების სიმცირისა და დეგრადაციისა, მათი მოვლა-შენარჩუნებისთვის მუნიციპალიტეტში არავითარ ღონისძიებებს არ მიმართავენ. კერძოდ კი, მეცხოველეები არ მიმართავენ ნაკვეთმონაცვლეობით ძოვებას, სადოვრებისათვის შეფასებული არ აქვთ ძოვების ნორმები და სხვა.

მუნიციპალიტეტში ცუდადაა განვითარებული სოფლის მეურნეობის სამსახური, რომელიც შესძლებდა სოფლის მეურნეობაში არსებული პრობლემების იდენტიფიცირებას და მათზე რეაგირებას.

ტყის რესურსები - ხონის მუნიციპალიტეტში ტყის რესურსები დიდია. ტყის რესურსებთან დაკავშირებული ძირითადი პრობლემებია ტყის ჭრა, მათ შორის უკანონო და ქარსაცავი ზოლების მნიშვნელოვანი შემცირება 1990-იანი წლების შემდეგ. ამასთან, ტყეების და ქარსაცავების აღდგენა-განაშენიანება პრაქტიკულად არ ხდება.

წყლის რესურსები და წყალმომარება - ხონის მუნიციპალიტეტში უხვადაა წყლის რესურსი. წყლის რესურსის და მისი ხარისხის მონიტორინგი არ ხდება. მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამშრომლების მოსაზრებით, მიწისქვეშა წყლის დონემ საგრძნობლად დაიწია ადგილ-ადგილ, რაც მოსახლეობის ჭების დონის დაწვეა-დამრობაში გამოიხატა.

მუნიციპალიტეტში არსებული წყლის რესურსი საკმარისია არსებული მოთხოვნის სრულად დასაკმაყოფილებლად. თუმცა, მუნიციპალიტეტში მაინც არსებობს წყალმომარაგების (მ.შ. სარწყავი წყლის) პრობლემა, რაც წყალმომარაგების/სარწყავი სისტემების ცუდ მდგომარეობას ან არარსებობას უკავშირდება.

მუნიციპალიტეტის დასახლებების დიდ ნაწილს არ გააჩნია ჩამდინარე წყლების შემკრებ-გამწმენდი ნაგებობები, არსებული საკანალიზაციო სისტემები კი ცუდ მდგომარეობაშია. ამან შესაძლოა გამოიწვიოს წყლის რესურსების დაბინძურება.

ადგილობრივი მმართველობის ორგანოები - მუნიციპალიტეტში გარკვეული საქმიანობა ხორციელდება კლიმატის ცვლილებებისადმი ადაპტაციისთვის. თუმცა, ასეთი საქმიანობა საკმაოდ მცირემასშტაბიანია და როგორც ჩანს, სრულად ვერ პასუხობს საჭიროებას.

როგორც წესი, მუნიციპალიტეტის გამგეობას არასრული ინფორმაცია გააჩნია ისეთი საკითხების შესახებ, რომლებმაც შესაძლოა განსაზღვროს მუნიციპალიტეტის სენსიტიურობა კლიმატის ცვლილების მიმართ და როგორებიცაა ბუნებრივი კატასტროფები, სოფლის მეურნეობა, წყლის რესურსები და წყალმომარაგება, ტყის რესურსები. ეს ზღუდავს მათ შესაძლებლობას გაანალიზონ მოსალოდნელი საფრთხეები, ასევე დაგეგმონ და განახორციელონ პრევენციული ღონისძიებები.

რეკომენდაციები

კლიმატის ცვლილებებთან ადაპტირებისთვის მუნიციპალიტეტში რეკომენდირებულია შემდეგი ზომების გატარება:

- მდინარის კალაპოტის მართვის მეთოდების შეფასება, რათა დადგინდეს თუ რომელი მეთოდებია უფრო ეფექტური მოსალოდნელი კატასტროფების რისკების შესამცირებლად.
- ქარსაცავი ზოლების აღდგენა და ჭრების სისტემატიზაცია (რაც თვითმმართველობის პრიორიტეტიც იყო), რაც შეამცირებს ქარების ზემოქმედებას, ნიადაგის ეროზიას და დამეწყვრის რისკებს, ასევე ხელს შეუწყობს ტემპერატურული რეჟიმის დარეგულირებას მაღალი სიციხეებისას
- სახნავ-სათესი მიწების ეროზიის კონტროლი და პრევენცია, რისთვისაც საჭიროა შეფასდეს მეურნეობის გაძლოლის მეთოდები (მათ შორის ხვნა-თესვის და რწყვის მეთოდები) და შემუშავებული იქნას შესაბამისი რეკომენდაციები.
- ეროზირებული სახნავ-სათესი მიწების შეფასება და აღდგენის პროგრამის მომზადება

-
- სათიბ-საძოვრების ეროზიის პრევენცია, რისთვისაც რამდენიმე მეთოდის გამოყენება შეიძლება. უპირველეს ყოვლისა სასურველია დადგინდეს რეალურად რა რაოდენობის პირუტყვის ძოვებაა დასაშვები კონკრეტული საძოვრებისთვის და შეძლებისდაგვარად დაცული იქნას ეს ნორმები. ამას გარდა, სასურველია დაინერგოს მონაცვლეობითი ძოვება, დადგინდეს და საჭიროების შემთხვევაში შეიზღუდოს შემოყვანილი პირუტყვის სულადობა, მეცხოველეები გადავიდნენ ნაწილობრივ ბაგურ კვებაზე და სხვა.
 - ეროზირებული სათიბ-საძოვრების აღდგენა, რისთვისაც შესაძლებელია განხორციელდეს ბალახის თესვა, დროებით შეიზღუდოს ძოვება ეროზირებულ მონაკვეთებზე და სხვა.
 - მონაცემთა ბაზის წარმოება ბუნებრივი საფრთხეების და მათ მიერ მიყენებული ზარალის, სოფლის მეურნეობის, წყლის რესურსების, ტყის რესურსების და ნარჩენების მართვის შესახებ, რათა არსებობდეს მუნიციპალიტეტის წინაშე მდგარი გამოწვევების სრული სურათი და შესაძლებელი იყოს ამ გამოწვევების საპასუხო საქმიანობის დაგეგმვა.